აფხაზთა განათლების ისტორიიდან - აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი

XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსათვის აფხაზეთში და მის გარშემო არსებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ, ასევე ქართველი მისიონერების ძალისხმევით ქრისტიანობის გავრცელების საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა შექმნეს წინაპირობები სამთავროში ცალკე ეპარქიის დაფუძნებისთვის. 1849 წლის 14 მარტს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ შესაბამისი თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს[1]. თხოვნას მხარი დაუჭირეს როგორც ეგზარქოსმა, ისე მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა. ამ უკანასკნელის შუამდგომლობას იმპერატორი ნიკოლოზ პირველიც დაეთანხმა. მისი 1851 წლის 15 აპრილის ბრძანებულებითა და რუსეთის უწმინდესი სინოდის იმავე წლის 30 მაისის განჩინებით დაფუძნდა აფხაზეთის ეპარქია და მასთან ერთად - აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელიც[2]. ეპისკოპოსის რეზიდენციად და სასწავლებლის ადგილსამყოფელად ბიჭვინთა განისაზღვრა. მიხეილ შარვაშიძის კატეგორიული მოთხოვნით, აფხაზეთის ეპისკოპოსად გერმანე (გოგელაშვილი) დაინიშნა. 1846 წლიდან ის აფხაზეთის ჯერ იღუმენად და მერე არქიმანდრიტად მსახურობდა, იყო მთავრის სულიერი მოძღვარი და მისი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი. იმპერატორისა და უწმინდესი სინოდის ზემოხსენებული აქტების მიხედვით, აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და ეპისკოპოსის ამალის წევრად ყაზანის სასულიერო აკადემია დამთავრებული (1850წ.) 26 წლის ახალგაზრდა მღვდელმონაზონი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი ალექსანდრე (ოქროპირიძე) დაინიშნა.

აფხაზეთში ქართველი მღვდელმთავრისა და სასულიერო საწავლებლის ზედამხედველად ასევე ქართველის დანიშვნა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის იძულებითი დათმობების, ლიბერალურ-ფარისევლურმა პოლიტიკამ და მიხეილ შარვაშიძის პოზიციამ განაპირობეს. ჯერ კიდევ 1840 წლის 10 და 20 მარტს კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსმა გენერალმა ე. კოცებუმ საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის ევგენის წინაშე დასვა საკითხი, მისი აზრით, „ნახევრად ველურ“ აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების მიზნით რუსი მისიონერების დანიშვნის შესახებ მათი შავი ზღვის სანაპირო ხაზის (სამხედრო გამაგრებული პუნქტების სისტემა) სამხედრო ნაწილთან არსებული რელიგიური განყოფილებისადმი და ამ უკანასკნელის მეშვეობით უწმინდესი სინოდსადმი დაქვემდებარებით[3]. წინადადებას მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავარმართებელმა ე. გოლოვინმა და ეგზაქოსმა. მათი პოზიცია გაიზიარა იმპერატორმაც და უწმინდესმა სინოდმაც, რომლებმაც 1846 წლის დასაწყისში შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეს. იმავე წლის 14-18 ივნისით დათარიღებულ წერილში უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ნ. პროტასოვის მიმართ კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა მოითხოვა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომ აფხაზეთი დარჩებოდა საქართველოს ეგზარქოსის დაქვემდებარებაში და მისიონერულ საქმიანობაში რუსებთან ერთად მონაწილეობას

[1]წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007, გვ.567-568.

[2]წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ., 2006, გვ.121,127, 156, 215; საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ.488, ანაწ. 1, ს.62766, ფ. 4-5.

[3]ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 400.

ქართველებიც მიიღებდნენ. კავკასიაში და საერთაშორისო არენაზე არსებული ვითარების გათვალისწინებით, მას ნაადრევად მიაჩნდა რუსი მისიონერების მეშვეობით აფხაზეთის დაჩქარებული რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება, ქართული სამყაროსაგან აფხაზეთის მოწყვეტა. უწმინდესი სინოდი მთლიანად დაეთანხმა კავკასიის მეფისნაცვლის დასაბუთებულ მოთხოვნას[4].

განსაკუთრებული პრინციპულობის გამოჩენა დასჭირდა მ. ვორონცოვს იმ პერიოდში, როდესაც პეტერბურგში აფხაზეთის ეპარქიისა და მასთან სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების საკითხი იხილებოდა. სრულად ფლობდა რა სიტუაციას აფხაზეთში და იცოდა რა მიხეილ შარვაშიძის ცალსახა პოზიციის შესახებ, 1851 წლის 26 მარტს მან ვრცელი წერილით მიმართა რუსეთის სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშოვს. „დარწმუნებული ვარ, - წერდა მ. ვორონცოვი, - რომ აფხაზეთში მისიონერებად ადგილობრივები (ტუზემცი) უნდა იყვნენ ... მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში შეუძლებელია იყო უფრო თბილი, ვიდრე ზოგადად ქართველები და იმერლები, სხვა ტომებიდან კი ისინი, ვინც თბილისში არიან აღზრდილები. მოსახლეობასთან ურთიერთობისთვის, მათთან საუბრებისთვის და დარიგებისთვის ადგილობრივები შეუდარებლად უფრო მოხერხებულები არიან და ისინი ყოველთვის უფრო სასარგებლონი იქნებიან, ვიდრე რუსები... მათთვის ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ქართველისთვის ან იმერლისთვის დაეუფლოს სხვა კილო-კავებს... ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ენების ცოდნის გარდა, არის სხვა პირობებიც, რომლებიც უეჭველად ექნებათ ადგილობრევებს, ვიდრე რუსებს. ნახევრადველური მოსახლეობის დარიგებებისთვის, მათ შორის ცხოვრებისთვის, მათი ნდობის მოპოვებისთვის და მათზე გავლენის მოხდენისთვის ადგილობრივ მისიონერებს აქვთ ის დიდი უპირატესობა, რომ ისინი გაჩნდნენ და გაიზარდნენ კავკასიონის იქით, მიჩვეული არიან ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, საკვებს და კლიმატს. ეს ყველაფერი რუსისთვის უცხოა, და იქ მცხოვრებნი მასში უცხოს დაინახავენ, მაშინ როდესაც ქართველში და იმერელში ისინი ნაწილობრივ თავისიანს ამოიცნობენ. ამ უკანასკნელთ არ გააოცებს და შეაჩერებს ის, რაც რუსს უცნაურად მოეჩვენება და დაბრკოლებად იქცევა“[5]. პეტერბურგს არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა მეფისნაცვლის პოზიცია, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა გერმანეს (გოგელაშვილი) აფხაზეთის მღვდელმთავრად, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად კი ალექსანდრეს (ოქროპირიძე) დანიშვნა.

აფხაზეთში ჩამოსვლამდე მღვდელმონაზონმა ალექსანდრემ პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის გარკვეული გამოცდილება შეიძინა. 1851 წლის 28 ივლისიდან 28 სექტემბრამდე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე მსახურობდა. ამის შემდეგ ჩავიდა აფხაზეთში, სადაც ეპარქია მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა, ხოლო სასულიერო სასწავლებელი ჯერ არც არსებობდა.

შექმნილ ვითარებაში ალექსანდრე, ცხადია, მღვდელმთავართან შეთანხმებით, იღებს დროებით ილორში დარჩენისა და იქ აფხაზი ბავშვებისთვის საკუთარი ხარჯებით სკოლის დაფუძნების გადაწყვეტილებას. სკოლა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ 1852 წლის 8 მაისს მისი დამფუძნებელი სამხარეულით დაჯილდოვდა „ილორში აფხაზთა ბავშვებისთვის სკოლის მოწყობის პირველი მცდელობისას გამოჩენილი

[4]Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией (АКАК), т. 10. Тифлис, 1885, с.225- 227.

[5]АКАК, т. 10, с.230-232.

გულმოდგინებისთვის“[6]. ნამდვილად, ეს იყო ისტორიაში აფხაზი ბავშვებისთვის, მართალია, არაოფიციალური, კერძო, მაგრამ მაინც სკოლის გახსნის პირველი შემთხვევა, მღვდელმონაზონი ალექსანდრე კი აფხაზთა პირველი პედაგოგია.

სამთავროში გავრცელებულმა ეპიდემიამ შეაფერხა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის გახსნა. იგი საზეიმო ვითარებაში მხოლოდ 1852 წლის 25 სექტემბერს გაიხსნა, მაგრამ არა ბიჭვინთაში, სადაც სათანადო პირობები ჯერ არ იყო შექმნილი, არამედ ლიხნში (სოუკსუ)[7]. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა თავის თავზე აიღო მიხეილ შარვაშიძემ. სასწავლებელს მან დაუთმო ერთ-ერთი საკუთარი სახლი, რომელიც 40 ბავშვისთვის იყო განკუთვნილი. მანვე კიდევ ორი სახლი გადასცა სამღვდელოებას - ერთი მღვდელმთავარს, მეორე - ლიხნის კარის ეკლესიის კრებულს. ეპისკოპოსმა გერმანემ მისთვის გამოყოფილი სახლის ნახევარი მღვდელმონაზონ ალექსანდრეს დაუთმო. ასე დაიწყო ფუნქციონირება აფხაზთა ისტორიაში პირველმა უკვე ოფიციალურმა სასწავლო დაწესებულებამ, რომლის პირველი ხემძღვანელი და ასევე პირველი პედაგოგი გახლდათ ალექსანდრე (ოქროპირიძე).

1853 წლის 21 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ აფხაზეთის მღვდელმთავარისა და სასწავლებლის ზედამხედველის სახელზე გამოგზავნა მის მიერ შედგენილი და უწმინდეს სინოდში დამტკიცებული ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი - „ინსტრუქცია აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლისთვის“[8]. აფხაზეთის ეპისკოპოსის რანგში ალექსანდრე თავის მიმოწერაში ეგზარქოს ევსევისთან 1867 წლის 29 მაისს და 29 ივნისს აღნიშნავს, რომ უწმინდესმა სინოდმა ინსტრუქცია 1851 წელს ანუ სასწავლებლის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად დაამტკიცა[9]. ინსტრუქციის სრული ტექსტი ქართული თარგმანითურთ აქვე ქვეყნდება. ინსტრუქციის, არსებითად, დებულების მიხედვით, სასწავლებელი, რომელიც იქნებოდა ოთხწლიანი, განკუთვნილი იყო საეკლესიო მსახურთა და ყველა ფენის ადგილობრივთა შვილებისთვის; მოსწავლეთა ერთი ნაწილი სახელმწიფოს დაფინანსებით ისწავლიდა, მეორე ნაწილი - მშობლების ხარჯზე; სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობდნენ აფხაზეთში მოღვაწე მღვდელმსახურთა შვილები სწავლის დასრულების შემდეგ აფხაზეთში მსახურების ვალდებულებით; სასწავლებელზე მეთვალყურეობას ადგილობრივი ეპისკოპოსი ახორციელებდა, ზედამხედველს საქართველოს ეგზარქოსის წარდგინებით უწმინდესი სინოდი ამტკიცებდა, ინსპექტორს და ეკონომს, ასევე პედაგოგებს წარადგენდა ადგილობრივი ეპისკოპოსი და ამტკიცებდა საქართველოს ეგზარქოსი; სასწავლებლის მდგომარეობის ამსახველი ნუსხა საქართველოს ეგზარქოსის მეშვეობით ყოველწლიურად წარედგინებოდა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს. ყურადღებას იქცევს სასწავლო საგნები, რომლებიც ოთხივე კლასის მიხედვით არის გაწერილი. რუსული სასულიერო სასწავლებლებისთვის ტრადიციული საგნების გარდა, აფხაზეთის სასწავლებელში დამატებით და თანაც საფუძვლიანად ისწავლება ქართული ენა; სასწავლო საგნებს შორისაა აფხაზურიც,

---

[6]გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, ბიოგრაფიული და სხვა წერილები. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. ტფილისი, 1903, გვ.12; გ. როგავა. ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. - აფხაზეთის მოამბე, 2000, №4, გვ.35.

[7]წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ. 67-68.

[8]სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 15555, ფ. 128-131ა.

[9]წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ. 140,146.

რომელიც არააფხაზი მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. წარჩინებულ მოსწავლეებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება თბილისის სასულიერო სემინარიაში.
ინსტრუქციის ერთი ნაწილი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საკითხებს ეხება. მასში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია „ნახევრად ველური ბავშვების“ მიმართ სასტიკი მოპყრობა, როგორც ეს იყო მიღებული რუსეთის იმპერიაში. ინსტრუქციის „ეკონომიკურ ნაწილში“ საუბარია სასწავლებლისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის აღრიცხვის წესზე და შესაბამისი ყოველწლიური ანგარიშის მეფისნაცვლისთვის წარდგენის აუცილებლობაზე, მოსწავლეთა კვებაზე, ჩაცმულობაზე და ა. შ.
საეგზარქოსომ შეიმუშავა და 1853 წლის 21 მაისს მღვდელმონაზონ ალექსანდრეს გამოუგზავნა კიდევ ერთი დოკუმენტი - „ინსტუქცია აფხაზეთის სასწავლებლის ზედამხედველს ეკონომიკურ ნაწილში“. მასში მითითებულია, რომ სასწავლებელი ყოველწლიურად დაფინანსდება 1500 რუბლით, დამატებით სახელმძღვანელოებისთვის გამოიყოფა კიდევ 25 რუბლი; დანახარჯები სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე მყოფი მოსწავლეებზე არ უნდა ყოფილიყო 50 რუბლზე მეტი; საწავლებელს ჰქონდა უფლება ღარიბი ბავშვისთვის შორს მდებარე სოფლიდან დაექირავებინა ლიხნში ოთახი და ამისთვის წელიწადში 25 მანეთამდე გადაეხადა. ინსტრუქციაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა კვებას, ჩაცმულობას, საყოფაცხოვრებო პირობებს და სხვა საკითხებს[10].
აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელმა ფუნქციონირება დაიწო 11 მოსწავლით, რომელთა სახელობითი სია ცნობილია[11]. 1852/53 სასწავლო წლის ბოლომდე მოსწავლეთა რიცხვი 19-მდე გაიზარდა. მღვდელმონაზონი ალექსანდრე პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას როგორც საეგზარქოსოს, ისე კავკასიის მისიონერულ ორგანიზაციას - ოსურ სასულიერო კომისიას. 1853 წლის 27 იანვარს აღნიშნულ კომისიას აცნობა, რომ სასწავლებელს აფინანსებს საკუთარი სახსრებით, ერთ-ერთი მოსწავლე (სპირიდონ ხიტოს ძე ბჟანია) მთლიანად მის კმაყოფაზე იმყოფებოდა. „შემოწირულობებისთვის აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ“ 1853 წლის 7 თებერვალს სასწავლებლის ზედამხედველმა უწმინდესი სინოდი კურთხევა მიიღო. მოსწავლეებს ყველანაირად ეხმარებოდა მიხეილ შარვაშიძეც.
მღვდელმონაზონ ალექსანდრეს მიერ საქართველოს ეგზარქოსისთვის 1853 წლის 10 აგვისტოს წარდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ პირველი სასწავლო წელი სასწავლებელმა წარმატებით დაასრულა. მასში მოტანილია 19 მოსწავლის სახელობითი სია თითოელულის მოსწრების, მათ მიერ ჩაბარებული გამოცდების შედეგების მითითებით. სწავლება მიმდინარეობდა სასწავლებლის ინსტრუქციაში მითითებული პროგრამის მიხედვით. გარდა ამისა, მღვდელმონაზონ ალექსანდრეს ინიციატივით სასწავლებელთან მოწყობილი იყო სანიმუშო ბაღი და ბოსტანი, სადაც ბავშვები სასოფლო-სამეურნეო განათლების საფუძვლებს ეუფლებოდნენ და პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენდნენ[12].
სასწავლებელი კარგად მოემზადა ახალი, 1853/54, სასწავლო წლისთვის. ვინაიდან მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა, ალექსანდრემ საკუთარი სახსრებით ააშენა სახლი და საწავლებელს აჩუქა; 1853 წლის 1 სექტემბერს მან შეუკვეთა სახელმძღვანელოები:

[10] სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 15555, ფ. 28-31.
[11] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ. 70-71.
[12] სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 25029, ფ. 5-10.

რუსული და ქართული დედა ენა, რუსული და ქართული გრამატიკა, მოკლე კატეხიზმო, მოკლე საეკლესიო ისტორია, ქართული ფსალმუნები და ჟამთა წიგნი. შეკვეთილი სხელმძღვანელოები ოსურმა სასულიერო კომისიამ 1853 წლის 29 დეკემბერს გამოაგზავნა[13]. იმავე კომისიისთვის მღვდემონაზონ ალექსანდრეს მიერ 1853 წლის 25 დეკემბერს წარდგენილი მოსწავლეთა სახელობითი უწყისისი, ასევე 1854 წლის 11 თებერვალს გაგზავნილი ინფორმაცია მოწმობს, რომ მოსწრება იყო საკმაოდ მაღალი, ბავშვებმა წარმატებით დაძლიეს, ინსტრუქციის მიხედვით, პირველი კლასისთვის განკუთვნილი საგნები, განსაკუთრებით ნიჭიერები კი მეორე კლასის საგნებშიც მეცადინეობდნენ[14].

1852/53 სასწავლო წლიდან აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელს მეფისნაცვლის სპეციალური ფონდიდან 1525 რუბლი გამოეყოფოდა, ასევე 25 რუბ. - სახელმძღვანელოებისთვის. მიუხედავად ამისა, სასწავლებლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების ძირითადი ნაწილი თავის თავზე აიღო მღვდელმონაზონმა ალექსანდრემ, ნაწილობრივ - მიხეილ შარვაშიძემაც[15]. 1854 წლიდან მოსწავლეები სახელმწიფო კმაყოფაზე გადაიყვანეს და საკუთარი სახსრების ხარჯვის აუცილებლობა როგორც ადრე, ისე ამჯერადაც არ იყო. მღვდელმონაზონი ალექსანდრე მაინც აგრძელებდა სასწავლებლის პირადი თანხებით შენახვას. 1854 წლის 25 მაისს საქართველოს ეგზარქოსს ის წერდა, რომ სასწავლებლის საჭიროებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებიდან 1853 წელს დაიხარჯა მხოლოდ 12 რუბ. და 54 კოპ.; ვინაიდან 1854 წლის დასაწყისიდანვე გაირკვა, „რომ სოუკსუში დიდხანს დარჩენა შეუძლებელი იყო პოლიტიკური გადატრიალებებისა და იმ საფრთხის გამო, რომელიც სოუკსუს ჩერქეზების მხრიდან ემუქრებოდა, საჭიროდ ჩავთვალე ამ წელსაც სახელმწიფო თანხები არ დამეხარჯა ... და საკუთარი სახსრებით მომემარაგებინა მოსწავლეები საჭირო ნივთებით“[16].

1825 წლის მაისისთვის, როდესაც ეს წერილი იწერებოდა, მღვდელმონაზონი ალექსანდრე აფხაზეთის სამხედრო, სამოქალაქო და საეკლესიო ადმინისტრაციასთან ერთად უკვე გამოსული იყო აფხაზეთიდან ყირიმის ომის (1853-1856) დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილი უკიდურესად მძიმე ვითარების გამო. მიხეილ შარვაშიძე დროებით ჭკადუაშსა და კურზუში თავის სიმამრთან გიორგი დადიანთან იმყოფებოდა, ეპისკოპოსი გერმანე - ხონში, მღვდელმონაზონი ალექსანდრე - ქუთაისში. აფხაზეთის იძულებით დატოვების შემდეგ სასულიერო სასწავლებელი ვერ ფუნქციონირებდა. მისი აღდგენის საკითხი ეპისკოპოსმა გერმანემ ეგზარქოსის წინაშე 1855 წლის 31 იანვარს დააყენა, როდესაც შეიქმნა აფხაზი ბავშვების სამეგრელოში გადმოყვანის შესაძლებლობა. სასწავლებლის აღდგენა იგეგმებოდა მიხეილ შარვაშიძის ადგილსამყოფელთან (ჭკადუაში, კურზუ) ახლოს ან მარტვილის მონასტერში, ასევე ხონში (ეპისკოპოს გერმანეს სახლში)[17].

ვინაიდან იღუმენის ხარისხში აყვანილი ალექსანდრე (1855 წლის 12 თებერვალი) ჭკადუაშში იმყოფებოდა და 1855 წლის 27 აპრილიდან აფხაზეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრის გიორგი შარვაშიძის სწავლა-აღზრდის საკითხებით იყო დაკავებული, სასულიერო საწავლებლის გახსნაც იქვე გადაწყდა. 1855 წლის მაისში მან ფუნქციონირება განაახლა. სასწავლებელში ექვსი მოსწავლე ირიცხებოდა, რომელთა

[13] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ.75, 211.
[14] სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 25029, ფ.26-29.
[15] სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 25029, ფ.3-3ა.
[16] სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 15555, ფ. 63-64.
[17] სცსია, ფ. 488, ანაწ.1, ს. 15555, ფ.99, 100.

შორის იყო გიორგი შარვაშიძეც[18]. მალე სასწავლებელი სოფ. ქვაშხორში (სენაკი) ელიზბარ დადიანის სახლში გადავიდა. მოსწავლეთა შორის განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა გიორგი შარვაშიძე, როს შესახებაც ცნობილი გახდა ეგზარქოსისთვის და კავკასიის მეფისნაცვლისთვის. 1855 წლის 30 ივლისს ეგზარქოსი ისიდორე მეფისნაცვალ ნ. მურავიოვს წერდა, რომ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი იღუმენი ალექსანდრე 1 ივლისის მოხცენებაში „სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ ძალიან აქებს მთავრის ვაჟიშვილს, რომელის სწავლობს მასთან ექვს აფხაზ ბავშვთან ერთად“[19].

1855 წლის ოქტომბერში სამეგრელოს თურქული ოკუპაციის გამო აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ყირიმის ომის დასრულებიდანვე ლაქსანდრე, რომელიც არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი (1856 წლის 26 თებერვალი), ყველა ღონეს ხმარობდა სასწავლებლის აღსადგენად. მას მხარს უჭერდასაქართველოს ეგზარქოსიც. მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის დიმიტრი ყიფიანის სახელზე 1856 წლის 27 მარტს გაგზავნილ წერილში ეგზარქოსი ითხოვდა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლისთვის განკუთვნილი თანხის თუნდაც ნახევრის გამოყოფას, „რათა ხელსაყრელი ვითარების შექმნის შემთხვევაში არ შეფერხებულიყო სასწავლებლის აღდგენა“[20].1856 წლის 31 მაისის საპასუხო წერილში დიმიტრი ყიფიანი ეგზარქოსს აცნობებდა მის მიმართ მეფისნაცვლის თხოვნის შესახებ, განაახლოთ თანხის გამოყოფის შესახებ შუამდგომლობა „მაშინ, როდესაც მოგვეცემა ამ სასწავლებლის აღდგენის შესაძლებლობა“[21].

სასწავლებლის აღდგენა შესაძლებელი იყო ახალი დაფინანსების გამოყოფის გარეშეც. მისი ზედამხედველის ქველმოქმედების შედეგად 1853 - 1855 წლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებიდან (4575 რუბლი) დაიხარჯა მხოლოდ 49 რუბლი; დაზოგილი თანხა, რომელმაც 4526 რუბლი შეადგინა და ბანკში ინახებოდა სავსებით საკმარისი იყო აფხაზეთის სასულიერო საწავლებლის აღსადგენად, მაგრამ შესაბამისი ნებართვის გაცემა მუდმივად ჭიანურდებოდა. ფაქტობრივად მეფისნაცვალმა უარი თქვა არა მხოლოდ სასწავლებლის დაფინანსების გაგრძელებაზე, არამედ მის აღდგენაზეც. ამის მიზეზი აფხაზეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის ცვლილებაში უნდა ვეძიოთ. როგორც ცნობილია, ყირიმის ომის წლებში აფხაზურმა მოსახლეობამ მხარი თურქეთს დაუჭირა, მასობრივად უარყო ქრისტიანობა და მაჰმადიანობას დაუბრუნდა; სამართლიანად თუ უსამართლოდ მიხეილ შარვაშიძეც ღალატში იყო ეჭვმიტანილი. ამ ვითარებაში რუსეთი არა აფხაზთა განათლებაზე, არამედ სამთავროსა და ეპარქიის გაუქმებაზე, აფხაზების თურქეთში გადასახლებაზე ფიქრობდა.

აფხაზეთის ეპისკოპოს გერმანეს იმერეთის კათედრაზე გადაყვანის შემდეგ (1856 წ. 20 სექტემბერი) 1856 წლის 20 ოქტომბრიდან 1858 წლის დასაწყისამდე აფხაზეთის ეპარქიას არქიმანდრიტი ალექსანდრე მართავდა. ის იყო ეპარქიის ფაქტობრივი მმართველი 1859 წლის ნოემბრიდანაც, როდესაც აფხაზეთის ეპისკოპოსი გერონტი

---

[18] ჯემალ გამახარია.წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მისიონერული და პედაგოგიური მოღვაწეობა აფხაზეთში (1851-1861 წლები). - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №11. თბილისი, 2016, გვ.75.

[19] ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 421.

[20] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ.82.

[21] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ. 156-157; 212.

(პაპიტაშვილი) შეთავსებით სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა და რეზიდენცია მარტვილში განესაზღვრა. 1861 წლის 21 ნოემბერს არქიმანდრიტი ალექსანდრე აფხაზეთის ეპისკოპოსად ინიშნება. ეპისკოპოსად დანიშვნამდე და შემდგომ პერიოდშიც მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენა, ზოგადად აფხაზთა სულიერი განათლება გახლდათ. 1860 წლის 18 მაისს საქართველოს ეგზარქოს ევსევის მან წარუდგინა ორი ნაწილისაგან შემდგარი ვრცელი ანალიტიკური მასალა - „მოსაზრებები აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“. პირველ ნაწილში საუბარია ქრისტიანობის გავრცელების ხელშემწყობ, მეორე ნაწილში კი ხელისშემშლელ ფაქტორებზე.ქრისტიანობის გავრცელების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ის ასახელებს აფხაზური და ქართული ენების ცოდნას და სასულიერო სასწავლებლის აღდგენის აუცილებლობას; ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად კი აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის არარსებობას მიიჩნევდა[22]. ამრიგად, თავის „მოსაზრებებში“ არქიმანდრიტი ალექსანდრე პირველად ოფიციალურად აყენებს აფხაზური დამწერლობის შექმნის საკითხს.

აფხაზეთის ეპისკოპოსად დანიშვნიდან დაახლოებით ერთ წელიწადში, 1862 წლის 25 ოქტომბერს, ოჩამჩირეში, მიხეილ შარვაშიძის მიერ გამოყოფილ სახლში ალექსანდრემ ისევ და ისევ საკუთარი სახსრებით მოაწყო სკოლა, სადაც რვა აფხაზი ბავშვი სწავლობდა. ცნობილია რვავეს სახელები და გვარები[23]. 1864 წელს აფხაზეთში ჩამოსულმა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების რევიზორმა ნ. ღოღობერიძემ თავის ანგარიშში ჩაწერა, რომ „სოხუმში მან ნახა ექვსი ახალგაზრდა აფხაზი, რომლებიც ცაიშის მონასტერში საეკლესიო წიგნებს ეუფლებოდნენ აფხაზეთის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს სახსრებით“[24]. 1867 წლის 29 მაისის მოხსენებაში ეგზარქოს ევსევის მიმართ ეპისკოპოსი ალექსანდრე წერდა, რომ მისი საშინაო მოსწავლეები, რომლებსაც სასულიერო სასწავლებელს გადასცემს, „იქნებიან სასწავლებლის მშვენება; იმ მოსწავლეთა სახით მე პირველად ჩავუყარე საფუძველი აფხაზი ყმაწვილების კაპიტალურ სასულიერო განათლებას. გავიმეორებ, გავაკეთე სიკეთე, რამდენიც შემეძლო სამეცნიერო მოღვაწეობის, განათლების, უმაღლესი აღზრდისთვის მოსწავლეთა მომზადების სარბიელზე. Вездесущий и Видящий ღმერთმა იცის რამდენი სირვილი მაქვს განვანათლო აფხაზები ზნეობრივად და გონებრივად“[25].

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენის საქმე კი ეპისკოპოს ალექსანდრეს ძალისხმევით თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი. ამასთან დაკავშირებით ეგზარქოსთან წარდგენი მოხსენებებში ის მუდმივად იშველიებდა 1853 წელს მისთვის გამოგზავნილ „ინსტრუქციას“, მის ცალკეულ პარაგრაფებს. გადაწყვეტის სტადიაში იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა სასწავლებლის პედაგოგებით დაკომპლექტება, დაფინანსება, სახელმძღვანელოებითა და აუცილებელი ინვენტარით მისი მომარაგება. შერჩეული იყო ბავშვები, რომლებსაც აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში უნდა ესწავლათ. 1867 წლის 29 მაისის ზემოხსენებულ მოხსენებას ეგზარქოსთან თან ერთვოდა 30 ბავშვის სახელობითი სია. მათ შორის ვხედავთ პატარა ბესარიონ ხელაიას - მომავალ კათოლიკოს-პატრიარქს წმინდა აღმსარებელ ამბროსის.

---

[22]წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ. 85-87, 90.

[23]წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ.141.

[24]ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 435.

[25] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ.143.

სამწუხაროდ, სასულიერო სასწავლებლის აღდგენას ამჯერადაც ხელი შეუშალა აფხაზთა მიმართ უკიდურესად გამწვავებულმა იმპერიულმა პოლიტიკამ, რომელიც უკიდურესად გამწვავდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864), ცნობილი აჯანყებისა (1866 წ.) და პირველი მასობრივი მუჰაჯირობის (1867 წ.) შემდეგ.

К сожалению, епископу Александру не удалось открыть училище, хотя к этому все было готово. Одной из причин следует искать в политике по отношению к абхазскому народу, к вопросу его просвещения. Как известно, комиссия по разработке абхазской письменности, созданная Обществом Восстановления Православного Христианства На Кавказе, в 1865 году опубликовала абхазскую азбуку под названием «Доброе чтение православным». Туда же были включены и основные христианские истины. Азбука предназначалась для школ общества. Однако в 1868 году Совет Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе, признал абхазский язык «младенческим и неразвитым». Поэтому «всякие попытки к передаче на нем книг Священного Писания были оставлены» (Обзор Деятельности Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе за 1860-1910 гг. Тифлис, 1910, с. 149-150, 157). Без сомнения, данное решение совета общества носил, скажем так, не лингвистический, а политический характер и был связан с событиями 1866-1867 годов, с политикой русификации.

Абхазское Духовное Училище, по нашему мнению, стало жертвой новой церковной политики в Абхазии, которое связано с именем начальника Сухумского военного отдела **В. Геймана**. Чтобы в этом убедиться, достаточно ознакомиться с его докладом на имя наместника на Кавказе **Михаила Романова** от 14 ноября 1867 года, то есть тогда, когда все предварительные работы уже были проведены и со дня на день ожидалось открытие духовного училища в Пицунде. Прежде всего, вину за ослабление христианства в Абхазии начальник отдела возлагал на владетеля **Михаила Шарвашидзе**, епископа Александра и в целом на грузинское духовенство, исполнявших богослужение на грузинском языке; в школах также «учат на совершенно чуждом для абхазских детей грузинском языке, - писал **В. Гейман**, - и почему ему дано предпочтение пред русским положительно непонятно». Начальник Сухумского военного отдела предлагал наместнику упразднить епископскую кафедру ввиду малочисленности населения края; в соответствии с новым административным делением учредить два благочиния - Кодорское и Пицундское, поставив над ними старшего благочинного (на эту должность рекомендовал **Давида Мачавариани**); упраздненную Абхазскую Епархию подчинить епископу Имеретинскому **Гавриилу**; возобновить древние храмы; учредить школы «на более прочных основаниях» (имелось в виду изменение языка преподавания); трех лучших воспитанников ежегодно направлять «в Ставропольскую семинарию с тем, чтобы после посвящать лучших из них в духовный сан для службы в Абхазии»; приискать средств для улучшения «быта имеющих быть избранными вновь священников» (см. Дж. Гамахария. Абхазия и православие, с. 932-937). Доклад генерала **В. Геймана** знаменовал поворот политики в сторону руссификации Абхазии. В этих условиях совершенно лишним становилось духовное училише в Пицунде, где наравне с русским предпологалось преподавание и грузинского языка; кроме того, еп. Александр стал настойчиво предлагать введение обучения на абхазском языке и даже наметил кандидатуру преподавателя - священника

Иоанна Гегия (док. № 101). Нет сомнения, что Пицундское Духовное Училище стало жертвой новой целенаправленной политики руссификации Абхазии и всей Грузии.

1868 წლიდან епископ Александр фактически был отстранен от выполнения своих служебных обязанностей, хотя формально еще целый год считался епископом Абхазии.

ინსტრუქცია აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელისთვის

§1.აფხაზეთის სასწავლებელი ფუძნდება სამღვდელო-საეკლესიო მსახურთა და ადგილობრივთა ყველა ფენის შვილების განათლებისთვის.

I.სასწავლებლის შემადგენლობა

§ 2.სასწავლებელი უნდა იყოს ოთხწლიანი.
§3.მასში იქნება ოთხი დამრიგებელი აფხაზეთის ეპისკოპოსის ამალაში მყოფი პირებიდან ამ თანამდებობებზე სპეციალური ხელფასის გარეშე, რომლებსაც თანამდებობებზე ამტკიცებს საქართველოს ეგზარქოსი.
§4.მოსწავლეები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს კმაყოფაზე და საკუთარ კმაყოფაზე.
§5.აფხაზეთში მოღვაწე სამღვდელო-საეკლესიო მსახურთა შვილები, რომელთა მშობლები მცირეხელფასებიანები არიან, გამონაკლისის გარეშე სარგებლობენ სახელმწიფო ანაზღაურებით, სწავლის დასრულების შემდეგ აფხაზეთში მსახურების ვალდებულებით.
§6.სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი საერო წოდების მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება იმ საშუალებებით, რომლებსაც გაიღებს კავკასიის მეფისნაცვალი,
§7.მოსწავლეთა მიღება სახელმწიფო კმაყოფაზე ხდება ადგილობრივი ეპისკოპოსის წარდგინებითა და საქართველოს ეგზარქოსის კავკასიის მეფისნაცვალთან კომუნიკაციის საფუძველზე.
§8.თვითკმაყოფაზე მყოფ მოსწავლეთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული და ადგილობრივ პირობებზე და მშობლების თანხმობაზეა დამოკიდებული.
§9.საკუთარ კმაყოფაზე მყოფ მოსწავლეთა დიდი რაოდენობით მოსაზიდად ყველა ისინი იყენებს სახელმწიფოს ხარჯზე შეძენილ სახელმძღვანელოებს.

II.სასწავლებლის მართვა-გამგეობა

§10.სულიერი განათლების ადმინისტრაციის შემადგენლობაში აფხაზეთის სასწავლებლის შეყვანის მოუხერხებლობის გამო, მართვა-გამგეობის ყველა ნაწილში იგი იმყოფება აფხაზეთის ეპისკოპოსის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ.
§11.სასწავლებლი ზედამხედველი ინიშნება უწმინდესი სინოდის მიერ საქართველოს ეგზარქოსის წარდგინებით.
§12.სასწავლებლის ინსპექტორს და ეკონომს სახეზე მყოფი დამრიგებლებიდან არჩევს ადგილობრივი ეპისკოპოსი და თანამდებობაზე ამტკიცებს საქართველოს ეგზარქოსი.
§13.გამოკლებული დამრიგებლების ნაცვლად ადგილობრივი ეპისკოპოსი წარადგენს კანდიდატებს ან მასწავლებლის თანამდებობისთვის შესაფერისთა არარსებობის

შემთხვევაში უკავშირდება საქართველოს ეგზარქოსს შუამდგომლობისთვის უწმინდესი სინოდის მიერ ასეთის დანიშვნის შესახებ.
14.აფხაზეთის სასწავლებლის მდგომარეობის ნუსხა ყოველი წლის ბოლოს საქართველოს ეგზარქოსის მეშვეობით წარედგინება ბატონ უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს.

III. სასწავლო საგნები

§15.ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულისასწავლო საგნები უნდა იყოს:
1.სჯულის კანონი;
2.რუსული ენა;
3.ქართული ენა - საეკლესიო და სამოქალაქო;
4.სუფთა წერა რუსულ და ქართულ ენებზე;
5.არითმეტიკა;
6.რუსული და ქართული გრამატიკა;

7.საეკლესიო გალობა;

8.გეოგრაფია;

9.პრაქტიკული მეცადინეობა აფხაზურ ენაში.

§16.პირველ კლასში მოსწავლეებს ასწავლიან რუსულ და ქართულ დედა-ენას, ჟამთა წიგნიდან და ფსალმუნიდან კითხვას, რუსულად და ქართულად წერას, მოკლე ლოცვებსა და ათ მცნებას.
§17.მეორე კლასში - ჟამთა წიგნიდან კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე, სუფთა წერა რუსულად და ქართულად, ლოცვებისა და რწმენის სიმბოლოს შესწავლა, საეკლესიო გალობის დასაწყისი, მოკლე კატეხიზმოს პირველი ნაწილი, არითმეტიკის პირველი საწყისები, პრაქტიკული მეცადინეობა მიტყველებასი რუსულად და ქართულად.
§18.მესამე კლასში დილისა და საღამოს სადღესასწაულოღვთისმსახურებისკითხვა, სუფთა წერის დახვეწა, მოკლე კატეხიზმოს გაგრძელება და ძველი აღთქმის მოკლე წმინდა ისტორია, საეკლესიო გალობა, რუსული და ქართული გრამატიკა სინტაქსამდე, არითმეტიკის გაგრძელება, რუსეთის გეოგრაფია, პრაქტიკული მეცადინეობა რუსულ და ქართულ მეტყველებაში.
§19.მეოთხე კლასში ვრცელი კატეხიზმო და ახალი ართქმის მოკლე წმინდა ისტორია, მოციქულთა და სხვა საღვთისმსახურო წიგნების კითხვა, დილისა და საღამოს სადღესასწაულო ღვთისმსახურებისთვის და ლიტურგიისთვის განკუტვნილი გალობა, რუსული და ქართული გრამატიკა წესების გამოყენებით წინადადებების გარჩევის დამატებით, არითმეტიკის მეორე ნაწილი, გეოგრაფია რუკის დახატვით, პრაქტიკული მეცადინეობა რუსულ და ქართულ მეტყველებაში.
§20.გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს თარჯიმანი აფხაზურ ენაზე მეტყველებაში ამეცადინებს ყველა კლასის მოსწავლეს, ძირითადად სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა შვილებს, არა დაბადებით აფხაზებს, არამედ სამეგრელოდან ჩარიცხულებს.
§21.საუკეთესო მოსწავლეებს, მშობლების სურვილის მიხედვით, შეუძლიათ ჩაირიცხონ თბილისის სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად, თუ კავკასიის მეფისნაცვალი გადაწყვეტს სემინარიაში მათი შენახვის უზრუნველყოფას.

IV.ზნეობრივი ნაწილი

§22.მოსწავლეთა ზნეობრიობაზე მეთვალყურეობა ეკისრებათ სასწავლებლის ზედამხედველსა და ინსპექტორს.
§23.ინსპექტორი ვალდებულია დაესწროს დიდლის და საღამოს ლოცვების საერთო კითხვას, დააკვირდეს წესრიგს სასადილო ოთახში და მეთვალყურეობის გარეშე არ დატოვოს მოსწავლეები სწავლებისგან თავისუფალ დროს, განსაკუთრებით კი ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს.
§24.არა იმდენად დასჯის შიშით, არამედ კეთილი წესების შთაგონებით მიმართონ მოსწავლეები კარგი ქცევისკენ.
§25.დააკვირდით მოსწავლეთა საკნებისა და ტანსაცმლის სისუფთავეს და ცხოვრების წესის რეგულარულობას, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ზნეობაზე.
§26.ბავშვური გადაცდომებისთვის სასჯელი უნდა დაინიშნოს კეთილგონივრულად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ნახევრად ველური ბავშვების მიმართ მკაცრი მოპყრობა უფრო მეტად სასტიკს გახდის და დააშორებს მათ მასწავლებელს, ვიდრე გამოასწორებს.

V.ეკონომიკური ნაწილი

§27.ეკონომიკურ ნაწილს განაგებს ეკონომი, ზედამხედველის მთავარი მეთვალყურეობით.
§28.სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი მოსწავლეებისა და სასწავლებლის შესანახად მეფისნაცვლის მიერ გამოყოფილი თანხის შემოსავალი და გასავალი შეტანილი უნდა იყოს ეპისკოპოსის მიერ გაცემულ ზონარგაყრილ წიგნში მის მიერ დამოწმებული ფურცლებით.
§29.სტუდენტებისთვის საკვების მიწოდებისას დაიცავით ადგილობრივი წესჩვეულებები.*
§30.მოსწავლეთა ტანსაცმელი უნდა იყოს უბრალო, მაგრამ სუფთა და შესაფერისი.
§31.წლის ბოლოს საქართველოს ეგზარქოსის მეშვეობით მეფისნაცვალს წარედგინოს ანგარიში გაწეული ხარჯების შესახებ.

---

*აფხაზეთის მცხოვრებნი, როგორც წესი, მიირთმევენ ღომისა და სიმინდისგან დამზადებულ პურს, მაგრამ ავადდებიან ჭვავისა და ხორბლის პურისგან.